

ც ი რ ა ბ ა რ ბ ა ქ ა ძ ე

დ უ მ ი ლ ი ს
ა (მ) ბ ე ბ ი



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2008

რედაქტორი როსტომ ჩხეიძე

© ც. ბარბაქაძე, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-084-8

წერილები

წერილი შენთვის

მოდი და შენი თვალებით
გადამიღე სულის კარდიოგრამა...
და აჰა, შენ, ჩემი ანამნეზი:
ხანდახან ვგუბდები და ისე საშიში ვარ,
მეშინია, არ მივატოვო
კალაპოტი,
რომელსაც ჩემი სახელი და გვარი ჰქვია.

მოდი და...
ამ სულს რაღე გაუგე –
მოუწესრიგე თანდაყოლილი არითმია,
გაუკვალე გზა,
თითქოს პირველი თოვლი მოვიდა და
ჯერ არავის გაუვლია...
და გამოუწერე სუფთა ჰაერი,
რომელიც არსად იშოვება...

გამომალვიძე შენი სიზმრებიდან
და დამაბრუნე იქ,
სადაც არ მახსოვს,
რომ ოდესმე ვიყავი...

ჩვენ შორის არსებულ სივრცეებს რომ
სივრცე ემატება...

ჩემი ლექსები ხდება

რადაცნაირი დუნე, ოკეანესავით,

და ისეთი, რომელსაც სიტყვებით დავწერ,

მაგრამ სიტყვებით ვერ აღვწერ.

სტრიქონები ჩემი

ხელისგულის ბედის ხაზებია

და ახლა ერთ—ერთ მათგანზე ვმოგზაურობ,

რომ შენ სადმე გადაგეყარო.

უკვე ყველაფერი გითხარი ჩემ შესახებ,

რაც ვიცოდი და

დანარჩენი მინდა, რომ

შენს თვალებში ამოვიკითხო.

ბალიშის ქვეშ დატოვებული წერილი

ისევ გათენდა...

ჩამოდი ახლა ჩემი ქუთუთოებიდან და
დარჩი ჩემს სიზმრებში...

მე კი წავედი გაცვეთილ სამყაროში,
რომელსაც ცხოვრება ჰქვია.

ბალიშის ქვეშ გიტოვებ წერილს:

გთხოვ, დამელოდო, მარცხენა მხარეს,
სადაც დავტოვე წამოსვლისას ორი კურცხალი –
მლაშე და თბილი...

და მაპატიე, ვერ გაგიყოლებ,

ეს ქვეყანა უნდო და პირქუშია,

ფერგალეული,

მეშინია, არსად გაიხეს და თან არ ჩავვიტანოს.

ვერ გაგიმეტებ...

ვინებთიალოთ ასე, ცალ–ცალკე...

ერთმანეთის სიზმრებში დავრჩეთ

და სხვა დროს დაველოდოთ...

თუმცა დრომ კი არა,

უდროობამ მოგვძებნა, მგონი...

უდროობასაც თავისი დრო

ჰქონია რადგან,

ის სხვა დროც მოვა...

მანამადე კი...

სიტყვებს ფეხი ავადგმევინოთ,
სული ჩავუდგათ...
ფრთები მივცეთ და
ჩვენ შორის სივრცეს ამოავსებენ...

მივდივარ, მაგრამ
დაგატარებ ყველა უჯრედით,
ყველა მზერით და ყველა ნაბიჯით,
ისე გიღიმი,
როგორც ბავშვი თავის ანგელოზს...

გთხოვ, დამელოდო,
ჩემს სიზმრებში,
ჩემი ბალიშის მარცხენა მხარეს,
სადაც დავტოვე წამოსვლისას ორი კურცხალი –
მლაშე და თბილი...

სახალწლო ღია ბარათი

ახალწლის ღამეს, ო, სულო, ჩემო,
რა უნდა გითხრა, მართლა არ ვიცი...
ვერ გხედავ, მაგრამ შენს არსებობას,
როგორც სასწაულს, ისე განვიცდი...
ვიცი, თუ აქ ხარ, ყველგან იქნები,
ცა და მიწაა შენი საუფლო,
შენ სანთელი ხარ, არ ჩამიქრები...
არც მე ჩავქრები, ვიდრე ვსაუბრობთ...
ახალწლის ღამეს რა სასწაული...
არავინ იცის, სივრცეს გაარღვევს...
სუსტი ფიფქი ვარ, შენს ხელისგულზე
მალე დავდნები... კარი გააღე!
შენი მეკვლე ვარ, შენთვის მოვცდები:
თოვლის ფანტელებს ვაქცევ იებად...
ახალწლის ღამეს ყველა ოცნება
უკლებლივ ყველას ეპატიება...
მე მაპატიე, ლექსში ეულად
დავრჩი, არა ვარ რადგან ნამდვილი,
ვერ მოვარიგე სული სხეულთან –
არა ყოფილა ასე ადვილი...
შენ ჩემი გზა ხარ და მისამართი
დავკარგე, რადგან აღარ მჭირდება...
თოვლი მოვიდა... ცასა და მიწას
შორის მანძილი ისევ მცირდება...
თენდება... მინდა ზარები რეკდეს
სულში... ფერს იცვლის ჩვენი სამყარო...
შენ ჩემი გზა ხარ, მე—შენი მეკვლე...
და აღარ ვიცი, საით გავკვალო...

ფრაგმენტი წერილიდან

ხომ გადამკიდე ეს გაზაფხული...
და ყველა წვეთი ცრემლად მიქციე,
მე აღარ მოგწერ: – საით წავიდე,
იქნებ მითხრა და იქნებ მირჩიო...
ჰო, ბედისწერა ჩემზე და შენზე
უფრო დიდი და უფრო მეტია,
არ მაპატიებს დაუკითხავად
ჩემი ფიქრიდან შენში ხეტიალს...
ატმის ყვავილიც ჩემი სიტყვებით
ვერ იყვავილებს, არ აქვს უფლება,
დე, ისე იყოს, როგორც შენ გინდა
და სამყაროსთან დავრჩეთ უბრებად...

ათასმეერთე ნერილი

მე შენთანა ვარ... დაბადებისას,
მითხარი, მარტო როგორ დაგტოვო,
მე ახლაც ვარღვევ ალბათ კანონებს,
ხომ მაპატიებ, ჩემო ავტორო...
რა ვქნა, თუ ასე არ ჩამიფიქრე
და ვერ მომარგე შენი აზრები,
შენგან წასვლასაც გადავიფიქრებ,
ოღონდაც შენ ნუ გამიბრაზდები.
თორემ წყალივით ეს დღეც წავიდა,
მეც ამ მდინარეს ალბათ წავყვები,
შენ კი დამწერე მერე თავიდან,
გინდა მიწოდე სულ სხვა სახელი...
მე მოვალ შენთან, რადგან სიშორეს
ველარ დაიტევს ბედის ხაზები,
ათას სამღურავს გამომიგონებ,
ათასმეერთედ გამიბრაზდები.

.....
ნუ მიჩუბდები, შემომეშველე...
ისე ამაწყვე, როგორც დამშალე...
ანდა, მითხარი, რომ... შეგეშალე
და ერთი „წკაპით“ უცებ წამშალე.

ქარის ტრიჭოში დასატოვებელი ნერილი

ვიყავი და არ დამხვდი...

მე არ მინდა უშენო შენი ოთახი,
თავისი ქაოსური წესრიგით –
ყავის სმისას დაბადებული და დაუბადებელი
აზრებით,
გადაწყვეტილი და გადაუწყვეტელი
საქმეებით,
კედლებზე კალენდრის ფურცლებით –
დაგეგმილი წუთებით და საათებით...
დაუგეგმავი წვიმით სარკმელზე...

გამოიზოგე
ჩემი მოთმინება,
ვიხილები და მოვდივარ...
დაგეძებ
მაგიდის ქვეშ, კარადაში,
დახურულ წიგნებში,
გამორთულ კომპიუტერში,
კედელზე გაკრულ პეიზაჟებში...

დაგეძებ ყავის ჭიქის ნალექში,
დაულეველ წყალში,
დაუწერელ ლექსებში...

ვიხილები და მოვდივარ...

p.s.

არ უნდა გამეფრთხილებინე,
რომ მოვდიოდი,
დამალვა რომ არ მოგესწრო...

წერილი ზღაპრიდან

ქარს აუწყვე ფეხი,
წვიმას აუწყვე ფეხი
და ღამეწიე მეცხრე მთასთან
და მეცხრე ცასთან, საიდანაც
იწყება ზღაპარი ჩვენთვის –
იყო და არა იყო რა...

ღამიწერე ახალი ზღაპარი,
რომელიც არცერთ წიგნში არ
წამიკითხავს...

ღამხატე ისეთი,
როგორიც შენ გინდა,
შემქმენი ნეკნიდან,
რომელიც ჯერ კიდევ თიხისაა
და არ გაქვავებულა...

ამომიღე მეშვიდე ჭიანი კბილი
და თაგვებს გადაუგდე გამოსახრავად...
ღამიწერე უავტორო ზღაპარი
და იყავი მთავარი პერსონაჟი...

საგნების ენაზე მელაპარაკე...

მასვი ცხრა ჭის წყალი და
სიყვარულისგან შეშინებულს
გამომილოცე შავტარიანი დანით...

ამოამთქნარე ჩემი ნაღველი,
ქარს გაატანე...
მერე
გადაგდე სავარცხელი –
ტყე გაჩნდება,
ცეცხლი გაჩნდება,
ღველფი გაჩნდება...

დავიბადები შენში
უცვლელი მზესავით
და ცვალებადი მთვარესავით...
დავიმალები შენში და
ვერავინ მომაგნებს...

დამიწერე ახალი ზღაპარი
და იყავი მთავარი პერსონაჟი...

დაჯარგულის წერილი

რა შორს წავედი
საკუთარი თავიდან
შენში...
ვინ იფიქრებდა...
ერთხელ მაინც გეთქვა:
შეჩერდი...
რომ საშიშია შენი სიღრმე
და რომ უკან
ვერასოდეს ვერ დავბრუნდები...

რამდენი რამე დაგაბრალებ,
ხედავ?
იყვირე,
რომ სიცრუეა ყველაფერი
და რასაც ვყვები შენზე და შენში –
ერთი ღამის სიზმარი იყო...
იყვირე, გესმის?
გამომალვიძე... გამომაფხიზლე
შენი ძილიდან...
მითხარი: რისთვის შემოვეხეტე,
რა დამკარგვია,
ან რას დავეძებ...
ხმა ამოიღე, რამე მითხარი
და რასაც მეტყვი,
აღარ დავეძებ...

რა შორს წავედი
საკუთარი თავიდან
შენში...

წერილი ზღვიდან

დაგმარცვლავ ტალღებად –
მიქცევებად და მოქცევებად...
დაგმარცვლავ საათებად, წუთებად, წამებად,
წელიწადის დროებად...
ჩაგაცმევ და გაგხდი გაზაფხულს,
ზაფხულს, შემოდგომას, ზამთარს...
გაგათავისუფლებ დროისგან...

დაგმარცვლავ შენს სახელს და
ორ მარცვალს გავზრდი გეომეტრიული
პროგრესიით უსასრულობამდე...
დაგაბინავებ სტრიქონებში,
გადავწერ და გაგამრავლებ,
შენს ასლებს ჩამოვურიგებ ყველას,
ვინც ყალბი ნამდვილისაგან ვერ გაარჩია.

დაგმარცვლავ კრიალოსანივით
და ყოველ ჯერზე
ლოცვასავით გაგიმეორებ...
გავხდები შენი გულისცემის
ტავტოლოგია...

მერე...
მოგაგროვებ
ფერადი კენჭებივით,
უწყლო სოფელში წვიმის წყალივით,
დაგაგუბებ ოკეანესავით,
შეგქმნი მუსიკასავით,
დაგწერ ლექსივით,
გადაგათეთრებ და გადაგწერ
უშეცდომოდ
ჩემში და
ჩემგან...

ქვის ქვეშ დატოვებული წერილი

მე საიდუმლო

შემოსასვლი მაქვს შენში...

შუალამის შემდეგ მოგადგები და გეტყვი:

„სეზამ, გაიხსენ!“... და გაიხსნები...

შენ არ იცოდი, ორი კარი რომ გქონდა

და არც უცნო სტუმარს ელოდი...

ერთხელაც საკუთარ სულში

ხეტიალისას გადამეყარე...

მე ახლაც მახსოვს გაკვირვებული მზერა

და არეული ნაბიჯები...

არადა, კარს ყოველთვის

საგულდაგულოდ კეტავდი,

რომ შენი სულის ლაბირინთები

არავის დაერღვია...

კარი ახლაც დაკეტილია, მაგრამ...

მე საიდუმლო

შემოსასვლელიდან

შემოვიპარე...

„სეზამ, გაიხსენ!“ –

ვთქვი და შემოვედი...

ახლა აქ ვარ და აქედან გელაპარაკები,

ამ წერილსაც იმ ქვის ქვეშ ვტოვებ,

ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომ

ვხვდებოდით ერთმანეთს...

ვიცი, ერთხელაც რომ ამ ქვაზე წაიბოროდიკებ
და იპოვნინი...
უცხო ანბანით ნაწერია, მაგრამ გაიგებ...
წავალ ახლა და კარს გავიხურავ
ჩუმად და უხმაუროდ,
არ მინდა, დაფრთხე.
ხვალ გესტუმრები,
შუალამე როცა გადავა,
დაკეტე, კარი...
მე მაქვს
ჩემი
საიდუმლო
შემოსასვლელი
შენში...

წერილი არაფერზე

არაფერი გვაქვს ჩვენ საერთო —
არც წარსული, არც მომავალი...
აწმყო, მით უფრო...
რა გაგახსენო?

.

გახსოვს,
როდესაც ერთნი ვიყავით?
გახსოვს,
როდესაც ნეკნი ვიყავი
და შენს სხეულში
მშვიდად მეძინა...

ვერ მოგიყვები ამ სიყვარულს
წვრილ—წვრილ ამბებად,
დიდი ამბავი,
თუკი ხშირად გამიავდრდება,
თავშესაფარი ხომ ვიპოვნე
შენში და შენთან,
ისიც მეყოფა,
რომ ვუსმინო
შენს გულის ფეთქვას...

ვცვალო ცხოვრება,
ვცვალო რიტმი,
ვცვალო ამინდი...
რა მარტივია...

სიყვარული არსად არ მიდის,
სისხლში ჩამექცა,
უჯრედებში სითბოდ დამყვება...
დიდი ამბავი,
თუკი ხშირად გამიავდრდება...

თავშესაფარი ხომ ვიპოვნე
შენთან და შენში...
და არ მიკითხავს,
შეიკედლებ შლეგსა და შეშლილს?
მინდა, რომ მითხრა –
რას ვყვები და ვარაკ–ვარაკობ...
ანდა, ამდენი რა მაქვს ნეტავ
სალაპარაკო?

წერილი შენი ოთახიდან

შენი ოთახის კუთხეში –
ობობას ქსელში ჩემი მზერა გავაბი
და დაგიტოვე...
ნუ ეტყვი დამლაგებელს,
ცოცხით შეეხოს...
ვიქნები შენი ვიდეოთვალი,
და დაგინახავ ყველგან,
ყოველთვის...
გაგებლანდები ფეხებში და წაიბორძიკებ,
შენს თითებზე ავცეკვდები,
კლავიატურას როცა გაანდობ
მთელი დღის ფიქრებს...
აგტკივდება და
ტკივილგამაყურებელ აბად ვიქცევი,
დამსვი კოვზზე და მომაყოლე
ორი ყლუპი წყალი,
შენს ტკივილებს იავნანას ვუმღერებ
და სამუდამოდ მივაძინებ...
შუბლზე მომატებულ ნაოჭებს წაგიშლი
და არასოდეს დაგტოვებ მარტო...

ჰერბარიუმი

იმდენი გემახე...
ვარსკვლავები დაცვივდნენ ციდან...
ქვები ამეტყველდნენ და
სიტყვები გამეპარნენ ფურცლებიდან...
ვერ გაგაგონე...
ისევ შევრჩი ოთახს—ცარიელს,
უშენოს,
თუმცა სავსეს საგნებით და
ახალი პეიზაჟებით...
შენი ნათითურები წამოვკრიფე
გადაშლილი წიგნებიდან,
შენი ნაბიჯები ავალაგე
იატაკიდან...
შენი ნახშირორჟანგი
მოვაგროვე ჩემს ფილტვებში,
შენი მზერა ჩამოვსსენი
კედლებს და სარკმელს,
საიდანაც ველარაფერს ვხედავ...
შენი თითების ანაბეჭდები
მოვპარე კლავიატურას...
მოვაგროვე...
და მერე მათთან ერთად
გამხმარი ყვავილივით ჩავეკარი
ჰერბარიუმში —
ოთახში,
რომელსაც უ-შენ-ო შენ-ობა ჰქვია.

საშიში თამაში

შენ წამართვი რწმენა
და მე გამოვიცნობ,
შენი ორი გამოწვდილი ხელიდან
რომელ მუჭში მოაქციე
ჩემი ბედნიერება...

მე წაგართმევ იმედს
და შენ გამოიცანი,
ჩემს რომელ ამოსუნთქვას
ამოვაცოლებ...

შენ წამართვი ცრემლები
და სანდო ადგილას
გადამიმალე...

მე წაგართმევ ტკივილებს
და არჩევანის გარეშე დაგტოვებ...
არ გეტყვი, გამოიცანი,
რომელ ხელში მაქვს...

შენ წამართვი თმის სარჭი
და გათენებამდე მახვეწნინე –
დამიბრუნე მეთქი...

მე წაგართმევ ყველაფერს,
რაც დაგრჩა და ფეხშიშველს
დაგტოვებ დედამიწაზე...

დაგხურავ ვარსკვლავებიან ცას
და გეტყვი:
გამოიცანი, ამდენ ვარსკვლავში
რომელია შენი ვარსკვლავი?

შენ წამართვი საკუთარი თავი
და, თუ გინდა,
ნუ დამიბრუნებ...

თავხედის წერილი

მე თავხედი ვარ,
აბა, რა მეთქმის...
დავემორჩილე ყველა ნორმას,
კანონს დადგენილს...
მერე მოვბრუნდი,
უმოწყალოდ როცა ვარღვევდი,
ერთი წარბიც არ შევიხარე...

გავრეკე მდინარეები კალაპოტებიდან,
დაიღალნენ
ერთსა და იმავე ქვა-ღორღზე სიარულით,
მუხლები გადაუტყავდათ...
თვითონ რას მოიფიქრებდნენ
და
მოვურღვიე კალაპოტი...
წავიდნენ ახლა,
სხვა გზა ნახონ ოკეანემდე.

თავხედი ვარ...
თეთრზე თეთრი ვთქვი და შავზე – შავი...
გაზედუ და შუა ზამთარში აყვავილდი...
ავრიე კალენდარი, ცხოვრება, ამინდი...
ყველა ვარსკვლავი დავისაკუთრე
და დედამიწას ვუთხარი:
რა პატარა ხარ, ჩემს სიყვარულთან.

უსისხლო წერილი

მთელი ჩემი ხუთ ლიტრამდე სისხლი
შენს ლექსებში ჩავტოვე.

ბოლო წვეთებით გწერ ამ წერილს...
დავცარიელდი...

არ გთხოვ, სისხლი გადამისხი მეთქი,
არ მინდა, დაგაკლო არც ერთი წვეთი...

გინდა, წვიმის წყალი გადაუსხი
გამომშრალ ძარღვებს...

ახალმოსული,
გამოხდილია...

მე გამიწყალდება სისხლი,

მერე ის სისხლი გულს გამიწყალებს,

ამიწყლიანდება თვალები (როგორც ყოველთვის)

და გავხდები უმოწყალო და წყალწაღებული,

და... ენას ველარ ავიწყლიანებ

შენთვის –

ვის რაში უნდა, უსისხლო და წყალწყალა ლექსი...

ბოლოს მთლიანად გავწყალდები

და არ ვინატრებ:

ნეტავი დედას გავწყალდებოდი მუცლადყოფნისას

და არ მენახე...

არ მინდა, წყალწყალა და უშენო ყოფნა და

წვიმის წყალივით ავკორთქლდები,

შენკენ წამოსულ ღრუბელს გამოვყვები

და შენს თავზე გავწვიმდები

ბევრჯერ...

გულს გაგიწყალებ თბილი წვიმებით...

სულს გაგიწყალებ...
სულ გაგიწყალებ,
აგაორთქლებ,
ღრუბელზე დაგსვამ
და იქიდან ერთად ვუყუროთ –
თბილი წვიმები როგორ ცეკვავენ და თამაშობენ
ქალაქის თავზე დაჭერობანას...
ვუყუროთ, როგორ ახასხასდება
ფილაქნებს შორის მწვანე ბალახი,
რომელსაც ერთ ღროს ფეხით ვთელავდით...
ან რა აზრი აქვს, რა ფორმით მოვალ –
წვიმა ვიქნები, თოვლი თუ ნისლი...
თუკი ყოველთვის შენკენ მოვდივარ...
დიდი ამბავი, გამითავდა,
აღარ მაქვს ს ი ს ხ ლ ი.

გაბრაზებული წერილი

ტექსტად გაქციე...
გამოგკეტე 33 ასო-ბგერაში,
ახლა კარს ვაღებ და
გეუბნები –
გათავისუფლებ...
მზის სხივებივით
აიკრიფე ამ ფურცლებიდან –
სულ ასო-ასო, სულ ბგერა-ბგერა,
წერტილებით და მძიმეებით,
კითხვისნიშნებით...
დამიტოვე თეთრი ფურცელი...
წადი და დარჩი ისევ უცვლელი,
თითქოს იყავი ოკეანე,
კენჭი გესროლეს
და არაფერი არ მომხდარა –
ყველა რგოლი გაიშალა
წყლის ზედაპირზე...

აიკრიფე ანიდან და ბანიდან
და განიდან და... ჰაედან...
თქმულიდან და უფრო მეტად
ართქმულიდან...
და მაპატიე, რომ ვერასოდეს
გადაგიტარებნე, რას ნიშნავდა
მრავალწერტილი...

მე გაპატიებ, რომ შეგეშალე
და რომ ვერასდროს ვერ გაიგე,
რაზე ვყვებოდი...

ბოლო წერილი

სიჩუმის ტყვე ვარ,
წერილებით ვერაფერს შევცვლი,
არეულია...
დაეკარგათ საგნებს სახელი,
დახუჭე თვალი...
ნატვრისთვალი ვიპოვნე შენთვის,
ლექსებში ნულარ გეშინია თვალის გახელის...

აქ ვარ, მომძებნე,
მე ათამდე გადავთვლი ვიდრე,
ამ სამყაროში...
უთავბოლო ხმაური მფარავს,
გადამაცალე ეს გარსი და არეულ ფიქრებს
თუ გამოჰყვები, მიპოვნი და
ნახავ, რომ სხვა ვარ...

მე ვიხილები შენს თვალებში
და ბავშვურ თამაშს
გეთამაშები...
ადვილია ბედთან თამაში?
შენ კი დაარქმევ ამ სტრიქონებს
საშიშს და თამაშს,
და ფურცელივით ადგები და...
სხვაგან გადამშლი...

გ ა მ ო (მ) ი ც ა ნ ი

გამო(მ)იცანი

შენ უნდა იყო,
თანაც არ იყო,
ცხოვრობდე ყოფნა-არყოფნის ზღვარზე,
უნდა ატარო ზღვების ღუმილი,
ტალღებითა და მარილით სავსე.
შენ უნდა იყო...
ჰო, ერთი სიტყვით,
უნდა ცხოვრობდე, ვითომ არა ხარ,
რა ვქნა, თუ მხოლოდ ასე შევძლებდი
შენი სულის და ხორცის დანახვას...
უნდა დარჩე და უნდა წახვიდე...
ვერ ამოირჩევ ვერცერთს ორიდან...
და ახლოდანაც ისე გხედავდე,
როგორც გხედავდი გუშინ შორიდან.
გამოიცვალა ზამთრის ამინდი,
ჩვენც უნებურად გამოვიცვალეთ...
მე შენ წინა ვარ—ცის თუ მიწისა,
თვითონ არ ვიცი,
გამო(მ)იცანი.

ნიჟარა

დეკემბრის ქარმა მთელი სამყარო
ხელისგულებზე გადაგიშალა...
სხვა ყველაფერიც –
რაც საიდუმლოდ
გადაგინახა გულში ნიჟარამ.
ჰო, ეს ნიჟარა ჩემი გულია,
შენ რომ კითხულობ
ახლა უჩუმრად
და ნუ იფიქრებ, დაკარგულია
დრო, რომელშიაც ცხოვრობ უჩემოდ.
ვტოვებ ნიჟარას,
ეს სიყვარულიც
აშვებულია, როგორც ულაყი,
ისე ლაღია და უნაპირო,
ქარი დაადგამს ალბათ უნაგირს.

* * *

ზურგშექცეული იდექი ჩემგან –
და მზერა შენი –
საკუთარ თავში გადამალული,
სულ... სულ... ამაოდ ცდილობდა, რომ
არ შევემჩნეო...
განა მზის სხივებს შეაკავებს
ღრუბლის ნაფლეთი,
ან სავსე მთვარე
ძაღლის ყეფვას დაემალება?
რატომ გარბიხარ,
ბედნიერება როცა ახლოა?
რა... რა... გაშინებს...
იქნებ ის, რომ სიყვარულმა
გითხრა: აღარ ხარ!
შენი ადგილი მან დაიკავა
და ეგ არის, რომ
მბრძანებელი
ვერ აიტანე...

ზურგშექცეული ვიდექი შენგან,
როცა თვალები კისრისმტვრევით
შენკენ მორბოდნენ...

* * *

როცა სულში სიყვარული აყვირდება
და სტრიქონებს ბარტყებივით ამოაფრენს,
დეკემბერი ვერ დამალავს გაკვირვებას
და თეთრ ფიფქებს შენს სარკმელთან
გამოაფენს.

წვეთიც მე ვარ, ხელისგულზე გადამდნარი,
წუხანდელი ფიფქი ალბათ შეიცანი,
თოვლი იყო სიყვარულით გადამთვრალი,
შეხე და წვიმის წვეთით შეიცვალა.

* * *

სიტყვები გამექცნენ წიგნის ფურცლებიდან,
თითქოს მიცვალებულები წამოდგნენ
საფლავებიდან და საკუთარ სულებს
შეუერთდნენ...

არ შეიძლება დარჩე უცვლელი,
როცა მკვდარი სამარეს ტოვებს...
დადევნება არც კი მიცდია,
სიმართლე გითხრათ,

ვერც გავარკვიე, საით წავიდნენ...
ან კი, რატომ უნდა მეძებნა
რომელიღაც ფილოსოფოსის
რომელიღაც აზრი

გაურკვეველი მიმართულებით გაქცეული...
მე ჩემი მქონდა მოსაძებნი –
მე შენ გეძებდი...

სიტყვები გზიდან ჩამომეცალნენ.

* * *

ეს სული ისევ ფერფლიდან აღდგა,
მოდი, ათასგვარ ამბავს გიამბობ,
შემოანათე ამ გულში, ანდა...
ჩაქრი და ასე ნულარ კიაფობ.
მაგრამ ნათელი რა ნათელია,
თუ შეუძლია ზურგი გაქციოს,
გულში შემოვა, რა სათქმელია,
რომ ისევ ფერფლად გადაგაქციოს.

* * *

რას მეტყვის ღამის ნიავი,
რა საიდუმლოს გამიმხელს,
საიდან მოდის, სად მიდის,
ვინ გაუხდია სამიზნედ...
ვის კალამს შეფარებია,
ვის ტკივილს იტყვის ამაღამ,
სხვისა არ ვიცი, ნიავექარს
ჩემს სუნთქვას შენთან გავატან.

* * *

არც მე... აღარც შენ,
და არც ქალაქი,
რომელშიც ერთ დროს
ერთად ვცხოვრობდით...
ჩვენ დავიკარგეთ ერთმანეთში,
ხოლო ქალაქი,
აღარც კი გვახსოვს, საით წავიდა.
ის კი, უცნობი სიყვარული,
მე და შენ შორის,
ნეტავ გამაცნო,
ვინ არის, ანდა, რას გვემართლება,
სულ ჩვენზე რატომ უჭირავს თვალი,
ხან აგვზელს ისე, როგორც აყალოს
და ხანაც ცეცხლით გაგვაცალკეებს,
რომ გაზაფხული გადააყაროს
ჩვენი სულების ღია სარკმელებს.

გალექსილი დიალოგი ტარიელ ჭანტურიასთან

—როგორ ბრძანდებით?

—აბა, რა გითხრათ,

ისე ვარ, როგორც ახლა მიყურებთ
და იმედი მაქვს, პასუხს არ ითხოვთ,
რადგან კითხვაა რიტორიკული.

როგორ ვბრძანდები?

ერთხელაც მართლა

რომ ჩავუფიქრდე ცხოვრებას ტიალს,
ასე მგონია, რომ დედამიწა

დაუყოვნებლივ შეწყვეტდა ტრიალს.

მე შევეფარე ამ ირონიას

და ჩემს ცხოვრებას, აწი დარჩენილს,
თორემ დარდმა თუ ჩამიყოლია,
ველარ მიშველის ქვეყნის გამჩენიც.

* * *

გაიარეთ, თქვენ-თქვენი გზით წადით,
ქარებო, და ნისლი გააბოლეთ,
მე რომ შენთვის სიყვარული მწაღდა,
აპრილსა და წვიმებს გავაყოლე.

გავაყოლე, რაღა უნდა მექნა,

ახლა ისევ მოლოდინით ხელი ვარ,

მე რომ შენთვის სიტყვა უნდა მეთქვა,

ბელურებმა ამიკენკეს ხელიდან.

* * *

აჰა, დაღამდა..
დიდხანს გელოდი,
ახლა კარგავენ საზღვარს საგნები –
ხეების ტოტებს უერთდება
გამოღებული ჩემი ფანჯარა,
ხოლო ბელურა სულში შემოდის,
რომელიც ალვის ხეზე დამჯდარა...
მე ვარ სარკმელი გამოღებული
და ყველაფერი ჩემში ხმაურობს –
ქუჩა, რომელზეც შენ გადადიხარ,
სახლი, რომელშიც უნდა შეხვიდე,
ჭიქა, რომელიც გელოდებოდა,
რათა პირამდე ყავით აგეკსო...
და ყველაფერი ახლა ჩემშია –
მიედინება, როგორც მდინარე...
მე კი ვინა ვარ, ვერ გავარკვიე –
ქალაქი, სახლი, ხეები, ქუჩა...
იქნებ გზა,
ახლა შენ რომ მიყავხარ,
ანდა ეს წიგნი, სავსე აზრებით,
მიყვარხარ,
თუმცა ისევ დაღამდა
და დაეკარგათ საგნებს საზღვრები.

* * *

როცა მივდივართ,
არსად მივდივართ,
გულის კუთხეში მივიყუყუებით,
დაბრუნებამდე, გაღიმებამდე,
დაიღლებიან ალბათ ქუჩებიც,
რადგანაც გზები ამ გულს მიბმია,
შენამდე მოსვლას აიოლებენ,
ჰო, ეს ქუჩები შენზე ფიქრია,
როცა გაივლი, გაგიყოლებენ...
დაიკარგება დრო და მანძილი,
როცა სულები საზღვარს გაცდება...
შენ დაგეძებ და
შენკენ მოვდივარ,
ვიდრე ფენტაქვეშ ქუჩა გაცვდება.

* * *

ვერ დაგადევნე სიტყვა ვერცერთი,
ველარც ფიქრებში დაგიმარტოვე,
როცა წახვედი, ისევ გეძებდი
გზაჯვარედინთან,
სადაც დამტოვე...
ისევ ჩამდგარან რიგში წამები
და მეც ყველა წამს თეთრად ვათენებ,
ახლაც აქა ვარ... დიდი წვალეებით
ციდან წამოსულს ვითვლი ფანტელებს.

* * *

ღმერთო, ყველაფერი უხმოდ როგორ ხდება,
როგორ გშორდები და გხვდები,
როგორ მიატოვა სულმა სამყოფელი,
როგორ ვცოცხლდები და ვკვდები...
როგორ წაიშალა ზღვარი და საზღვარი,
მე და შენ ნეტავ სად ვსახლობთ,
ვისწრაფვით ყოველთვის,
როდესაც შორსა ვართ,
გავრბივართ, როცა ვართ ახლოს...
აღარ მაქვს სხეული,
ო, თქვენ ვერ გაიგებთ,
ამ სულის სევდას და ნალველს,
სიცოცხლის, სიკვდილის, ცხოვრების კანონებს
ერთი ხელის მოსმით ვარღვევ.
ღმერთო, ყველაფერი ისე როგორ ხდება,
რომ აღარ მჭირდება სიტყვა,
მე მესმის თვალების, ხელების, ღიმილის,
იმის, რაც არასდროს ვითქვამს.

* * *

შენ მეკითხები, მე როგორა ვარ,
ღვთის ძალით, სული თუ ისევ მიღვას,
ვერაფერს გეტყვი... როცა ჩემთან ხარ,
აღარაფერი არ მინდა გითხრა...

არადა, ფიქრის გორგალს ვახვევდი,
შენთვის სათქმელი სიტყვების აცმას,
ჩემ წინ დგახარ და ხმასაც ვერ ვიღებ,
რადგან სიტყვები ერთბაშად გაცვდა.

შენ მეკითხები, მე როგორა ვარ,
როცა შენ გხედავ, აბა, რა მიჭირს...
მე შენ მიყვარხარ...
თითქოს ღმერთამდე
დარჩენილია ერთი ნაბიჯი.

* * *

ისე მოგენდე,
სულ არ მიკითხავს,
ვინ ხარ,
ანდა აქ
რამ მოგიყვანა...
ლაბირინთში ვარ,
გზა დაძეკარგა,
მოდი,
სწორ გზაზე გამომიყვანე.
წვიმის წვეთი ვარ,
შენ დამიცავი,
როგორც წვეთს იცავს
ნაზი ფოთოლი...
თორემ აღარ ვარ,
სულ დავიცალე...
გარეთ წვიმს –
სულში სევდამ მოთოვა.

* * *

არ შემარჩინე ცრემლების ფეთქვა,
აღარც ტკივილი—ერთი მისხალი...
შენ უკვე იცი, რაც უნდა მეთქვა —
რაც გავიფიქრე და არ გითხარი.

რა უნდა მიყოს შენმა სიშორემ,
როდესაც სული ასე ახლოა,
შენ ფიქრობ... მე კი—ვაწყობ სტრიქონებს...
ფურცელი ჩვენი სამოსახლოა.

შენი ხმა მესმის სადღაც... შორიდან,
ან იქნებ სულაც... ჩემში ხმიანობ...
თოვლს რომ ველოდი, თოვლი მოვიდა,
თუმცა კი ცოტა დაიგვიანა.

* * *

ვიცი, არაფერი არ შეიცვლება –
ამოვა მზე, გათენდება...
და ადამიანები შეჩვეულ საქმეს
გააგრძელებენ...
ხელები მოძებნიან შეჩვეულ სადავეებს,
სრულიად მექანიკურად დაიმორჩილებენ...
ან უფრო სწორად,
ჩვევა დაიმორჩილებს ადამიანს,
რომელსაც ჰგონია, რომ რაღაც შეუძლია –
სიყვარული, სიძულვილი, აღფრთოვანება...
ვითომ...
ვიცი, არაფერი არ შეიცვლება!
რომ შემეძლოს,
ცხოვრებას დავარქმევდი ცუდ ჩვევას..
მეც ამ ადამიანებში ვარ –
არეულ-დარეული, გადაზეული-გადმოზეული...
ჩემი ტკივილი ის არის,
რომ არ შემიძლია შევუერთდე
გარესამყაროს...
და როგორც ვერცხლისწყალი,
გატეხილი თერმომეტრიდან გადმოცვენილი,
ამაოდ დავსრიალებ ზედაპირზე –
ნაწილებად დაქუცმაცებული...
იქნებ ვინმემ დამაბრუნოს ბუდეში, სადაც
ერთი რამე დამევალება –
გავფართოვდე და შევიკუმშო იმის მიხედვით,
ტემპერატურა რას მიკარნახებს...

ვიცი, არაფერი არ შეიცვლება!
და შენც ამაოდ მაიმედებ –
რომ ხვალღიდან და სამუდამოდ
ყველაფერი კარგად იქნება:
მზე ამოვა, მთვარეც ამოვა –
სხვადასხვა დროს, მაგრამ ერთ ცაზე...
ვიცი, არაფერი არ შეიცვლება!
მაგრამ მაინც...
კარს რომ გამოვხსნი
და ფრთხილ მზერას მიმოვატარებ
(უ)შენ(ო) ოთახს...
რად იცვლება მთელი სამყარო?!

ტექსტი დარჩენილებს

ვერ შევამჩნიე,
დღე ღამეში როგორ გაზავდა...
ანდა ფოთლებმა
ხის ტოტები როდის დატოვეს,
ეს მერამდენედ...
ცხოვრებასთან ისევ დავზავდი
და სიცოცხლესაც ისე ვიხდი,
როგორც ბატონებს...

შენ კი, რომელიც
ტექსტში ხარ და სიტყვამ დაგაბა,
სულ შენი ჯავრი
რად დამყვება ყოველ ცისმარე,
წიგნიდან როცა გამოვედი,
სიტყვის დარაბა
გამოვხსენი და...
შენც იმ გზებით გამოიპარე!

* * *

„უნდა შეცვალო ცხოვრება შენი!“

პატრიკ ზიუსკინდის ესსედან

ჰო, სულერთია...

ვინ ხარ და რა გწვავს...

ლექსი რამდენ ხანს გემახსოვრება...

ამიერიდან...

ახლა და ამ წამს

უნდა შეცვალო შენი ცხოვრება.

უნდა აქციო წარსული აწმყოდ,

რომ დაიბადოს სული მეორედ,

კაცობრიობის ყველა ტკივილი

შენს გულში უნდა გაიმეორო.

და დარჩე ასე –

ცასა და მიწას

შორის გაბმული...

სივრცე გაწვალეებს...

ფრენა შეგეძლო...

ერთ მშვენიერ დღეს

ადგნენ და ფრთები

სულ დაგაცალეს!

ფერი იცვალე...

და ახლა სხვა ხარ,

ცხოვრებას მაინც

ვერაფერს შველი...

ჰო, სულერთია –

ვინ ხარ და სად ხარ –

შეცვალე მხოლოდ

სამყარო შენი.

შენ მაგიერ

ნუ წუნხარ,
მე რომ ვწუნხდები,
რა სათქმელია, წუნხილი...
წვიმა სარკმელსაც უხდება,
ჩუმად მოვიდა წუნხელი...

ხელში ვარსკვლავი მიქრება –
ცაზე ავანთებ მილიონს,
წვიმას ვეძახი, იქნება
ღრუბელი გამომილიოს.

* * *

რამდენი რამე უნდა ვიპოვნოთ
საკუთარ თავში...
უწყის უფალმა...
რასაც დავეძებთ დაბადებიდან,
სულში ნეტავ რას გადაუფარავს...
როდის დავკარგეთ ის,
რაც გვაწვალებს,
კითხვებმა სული რატომ არია?..
გთხოვ, დამეხმარო,
ან გზა მასწავლო –
როგორ ვიპოვნო, ჭია-მარია?

* * *

ვცხოვრობთ სიტყვებში...
ამ სიტყვებით
გავაკვალეთ გზები...
დაკარგულები
ჩვენ ერთმანეთს
სიტყვებში ვხვდებით...
ვხედავთ სამყაროს
ამ ტექსტიდან
თუმცა სხვა თვალთ...
მაინც სიტყვაა
ახლა ჩვენი
თავშესაფარი...
სრულდება დღე და,
რა თქმა უნდა,
ღამეც წავიდა...
ხვალდან ისევ
ყველაფერი
მოვა თავიდან...
ჩვენ კი...
აწმყოში ჩავიძირეთ
სიტყვის უფლებით...
ტექსტში ვცოცხლობთ და
ცხოვრებისგან ვთავისუფლდებით!

საშემოდგომო განწყობილება

უნდა წამოვკრიფო
სულის ნაწილები,
ვიდრე ეს ქარები
ღრუბლებს წამოშლიან,
ვიდრე თოვლი მოვა,
ვიდრე გაწვიმდება...
ვიდრე შემოდგომა
მზისფერ სამოსშია...

მერე მოგიყვები
ამ ღღეს დაწვრილებით –
რაზე იცინოდა
მთვარე დავერცხლილი,
ფოთლებს მივუყვები...
ვიდრე გაწვიმდება,
უნდა წამოვკრიფო
სული სარეცხივით.

ახლა უშენობაც
შენი ნაწილია...
უფრო ნამდვილი და
უფრო შორეული...
მაინც უშენობით
დაღლილ–დაცლილი ვარ,
ქუჩას მივუყვები
წვიმამორეული...

* * *

წვიმა მოვა...
თოვლი წავა...
ხელისგულზე დადნება...
სულის ყველა ფორიაქი
სიტყვით არ ითარგმნება...
მრავალწერტილს ჩავაბარებ,
ნისლი გადააფაროს...
ყველაფერი გაამჟღავნოს...
ყველაფერი დაფაროს...
რადგან სიტყვა საკუთარი
თავით ხშირად იღლება...
სარკმელი რომ იკეტება,
საღლაც კარი იღება...
ზოგი სიტყვა გამირბის და
ზოგი – თვალსაც მარიდებს,
ვისაც უნდა, ლექსში დარჩეს,
ვისაც უნდა – წავიდეს!

* * *

შენამდე მართლა არ ვიცოდი,
სულს რომ ფესვი ეზრდებოდა
და ახლა მივხვდი –
შენი მზერა სულს რომ შეეხო...
თითქოს დაირღვა ყველა სიმყარე,
მთელი სამყარო იქცა ღრუბლებად,
მაინც არ ვიცი,
ამ ღრუბლებში ვით ჩაიზარდა
სიყვარულის ფესვი უგრძესი...
მივმსხდარვართ მინის სარკმელებთან
და ყავის ორთქლი
გარეთ ზამთრის ნისლეულს ერთვის...
ჩვენ ვგავართ ახლა
ერთმანეთიდან გამოქცეულ
სულის ნაწილებს –
მინის სარკმელის აქეთ და იქით...
სითბო-სიცივის უხილავ ზღვარზე,
ფანჯრის მინაზე,
ცრემლის წყება აიბურცება...
გსურდა, როგორმე დაგენახე
და ჰა, სარკმელი! –
სევდის ნაპრალში ჩაჟონილი
ჩემი ცრემლები...
როგორც ფესვები სიყვარულის
იტოტებიან...
სხეული ჩემი, უქმადქცეული,
ამაოდ ცდილობს გაარღვიოს
სივრცე,
რომელშიც სიყვარულის
წვიმა მოვიდა.

* * *

ალბათ ტკივილებს
ვერ გადმოწერს შავი ფანქარი
შენი სულიდან... ყველაფერი
დუმილს დარჩება,
თუმცა სტრიქონი
მოიზომავს რითმის მაქმანებს,
კალამი მაინც გააკეთებს
თავის არჩევანს...
და გზა, რომელიც
სხივებივით შენ წინ თამაშობს,
ყოველთვის მიდის...
სხივებივით ცრუ და თავნება...
მე გამოგყვები შუა ტექსტში –
სიტყვამ დამახრჩოს,
არაფერია,
თუ დუმილით დავიფარები...

* * *

მოდის და მიდის გაზაფხული,
მოდის და მიდის...
და არასოდეს გვეკითხება –
საით წავიდეს,
თვალს ვერ შეასწრებ,
ვიწრო ქუჩით გაიპარება,
ტყემალი როცა
დროზე ადრე დაიყვავილებს...
ეჭა, შესდექი, გაზაფხულო,
ყური მათხოვე,
ჯერ შენი წილი ყვავილობა
ჩასავლელია,
დარჩი და სულში ალუბლები
შემომათოვე...
და ნულარ მეტყვი,
ყვავილები რა სათქმელია...
დაგიმანსოვრებ
ასე ფრთხილს და ასე ჟინიანს,
ისე გელოდი...
უკვე კარი გამომიხურე...
მე შენი გზები ვერ ვისწავლე,
ჰოდა, სარკმელთან
ვზივარ და როცა იპარები,
ჩუმად გიყურებ.

* * *

თამრიკოსთვის

წადი, გაფრინდი, თეთრო ჩიტო,
შენს გზას ეწიე,
დიდი ამბავი, თბილ ქვეყნისკენ
ვერ გაგაცილებ...
დაგელოდები,
გაზაფხულზე ისევ მეწვიე
და ნაზამთრალი უცხო ქვეყნის
დარდს აგაცილებ.
დაგელოდები...
სხვა რა გზა აქვს
ერთგულ ბელურას,
და თეთრ ვარსკვლავებს
გადავითვლი ზამთრის ღამეში,
გულში რომ იყავ,
ნეტავ კარი შემომეხურა,
გადაფრენისას
ნეტავ არსად აღარ
გამეშვი...
მაგრამ გაფრენას, ო, ღმერთმანი,
როგორ დაგიშლი,
მაშ, ფრთები რისთვის გიწყალობა
დედაბუნებამ,
ძალა არ მეყო...
და გულიდან როცა გაგიშვი,
ერთი გზა მაინც დაგიტოვე
დასაბრუნებლად.

მერე რა...

მერე-რა, თუ მართლა დავიღალე,
ლოდინის ფიალა გამოვცალე...
შენ ცდაში ვარსკვლავებიც დავითვალე,
მთვარე ათასჯერ გამოვცვალე...

და მეც დავიშალე ნაწილებად,
რას გწერდი?
იქნება მომაგონო...
სული ამ სიტყვებში ნაწილდება,
ვაგლახ, რომ ვინმემ მომაგროვოს.

* * *

ჩემი გზა ხარ,
მისამართი...

მე უგზობას დავიჩემებ...
ლამაზ ზღაპარს მომიყვები?
რა თქმა უნდა, დავიჯერებ...

ჯერ არ ვიცი,
სად წამიყვან...
რომელ კლდეზე გადამკიდებ...
მომარიგებ წუთისოფელს,
თუ... სამყაროს გადამკიდებ...

მე აღარ ვარ,
ამ სხეულში
შენმა სულმა დაიბუდა...
გული ბორგავს და სათქმელი
მეც თევზივით დამიგუბდა...

ცოტა კიდევ მადროვე და...
ცოტა კიდევ დამაცადე...
ვერა ხედავ?
ეს ცხოვრება
შენს ღიმილზე
გადავცვალე.

* * *

გთხოვ, გამაცოცხლო, სიყვარულო,
გარდავიცვალე...
და ორწყალშუა დარჩენილი
მკვდარი თევზი ვარ...
ბევრი მიშალეს სიყვარული,
არ დავიშალე!
უსიყვარულოდ სამყაროსთვის
როგორ მეძნირა...

მე დავიკარგე,
დამავიწყდა შენი ანბანი,
უფალმა უწყის,
არასოდეს არ მასვენებდა...
გადამაფარე
გადახდილი ძილში საბანი,
და დრო მომეცი
იმ ანბანის გასახსენებლად.

* * *

ჩემი გაწკეპლილი სიყვარული...
ასე დასასჯელად თუ გინდოდა,
გეთქვა...
სახრეს მაინც შეგირჩევდი...
ფეხზე რომ ველარ დამდგარიყო...
სიკვდილსაც უცებ შევიჩვევდი...
თითქოს იყო და არა იყო...
დამთავრებულყო შენ—ჩემობა...
გამოუგზავნელი ბარათებით...
შენც ეს ჯალათობა შეგრჩებოდა.
ისე.... ვითომცდა, არაფერი....

შენტვის

დღეს შენი დღეა... და ამიტომაც
მე ვერ დავრჩები შენთან უბარი...
თუმცა ვერ შეღვა ჩვენი თანხმობა –
ვერც – დიალოგი, ვერც – საუბარი...

ჩემი სიჩუმის წამიც დამდგარა,
არაფერს შევცვლი...
იყოს, რაც არის...
მე საშიში ვარ ახლა, რადგანაც
გადამდები ვარ, როგორც ხანძარი.

ვერ მოგიბეზრე...
შენი ღუმილით
ისევ მოვქარგე ჩემი ცხოვრება,
ვერ ამოგაშრე და ყველა სიტყვა
ლექსებში ისევ მევიწროვება.

შენ ამ სიტყვებსაც,
როგორც ყოველთვის,
არ დაიჯერებ, მტანჯავ ეჭვებით...
მე კი არ ვიცი, რატომ და რისთვის,
მაგრამ ვერასდროს გადაგეჩვენე...

დღეს შენი დღეა და ფურცელს ვავსებ,
ანდა, უბრალოდ, შენთვის ვარაკობ...
დღეს შენი დღეა და მინდა ასე
გათენებამდე გელაპარაკო...

* * *

მიწაზე ვარ,
ღრუბელს შემრჩა მზერა,
ღმერთმა იცის,
სინათლეა სად უფრო,
კარი გახსენ,
გაზაფხულო, მე ვარ...
გამიცვალე
ყვავილების საუფლო...

ატმის კვირტში
შეიყუჟა სული,
ოცნებას კი
ცისფერ კაბას ჩავაცმევ,
გაზაფხულო,
ამისრულებ სურვილს?
ხელუკუღმა
გადავაგდებ სავარცხელს.

* * *

შენ ეძებ
სამყაროს მიზეზს და ხასიათს...
ანგრევ და აშენებ...
ააწყობ – დაშლი...
რადგანაც ცხოვრება ისე და ასეა –
თითქოს სველ ქვიშაზე
თამაშობს ბავშვი...

მერე რა, თუ ტალღა
შენს მზეებს გადამლის,
მერე რა, თუკი ზღვა ხმაურით წავიდა,
სამყაროს გაცვეთილს
სხვა გვერდზე გადამლი...
ახალ მზეს დახატავ
ქვიშაზე თავიდან.

გამომალვიძე

გამომალვიძე,
თუკი ჩამთვლიმა,
ამ ფიქრის გორებს როცა გადავალთ,
გთხოვ, შემახსენე,
სადაც ჩავდივართ,
და ბარემ ისიც—ვინ ვარ, სადა ვარ...

გამომალვიძე...
და ვიდრე მძინავს,
ვიდრე სული და ხორცი მშვიდდება...
არსად წახვიდე,
თორემ უშენოდ
დედამიწაზე შემეშინდება...

* * *

მე დაგინახე
გადამალული
საკუთარ თავის მიღმა და იქით...
შენ ხომ ეძებდი მუდამ დამნახველს –
მზერით და სიტყვით,
აზრით და ფიქრით...
ნუ გეშინია,
მე არ გაგამხელ...
მივენდოთ ისევ ბედსა და იღბალს...
და დავრჩეთ ასე –
გადამალული,
საკუთარ თავის იქით და მიღმა...

P. S.

ხედავ, რამხელა ამბავს გიამბობ –
კაცი კი არა, ქვაც გაბრუვდება...
ხანდახან მინდა, მაგრამ ზღაპარი
არ კი არა და, ვერ დასრულდება...

ამინდებს ისევ შეცვლის ამინდი,
მზე ყველა ღრუბელს გამოძიქვითავს,
ის, ვინც შენშია, არსად არ მიდის
სიკვდილამდე და იმის იქითაც...

* * *

ჩაისუნთქე დედამიწა
და ამოსუნთქვისას
დატოვე ჩემი წილი ჟანგბადი
შენს ფილტვებში,
ჩემი სისხლი – შენს ძარღვებში...
ჩემი გული – შენს გულში,
ჩემი აკაციები – შენს ბაღში,
ჩემი ენბელები – შენს ბუჩქისძირებში...
მაქციე ნეკნად და ჩამსვი,
საიდანაც ამოვვარდი...

ჩაისუნთქე დედამიწა
და ამოსუნთქვისას
გაიგონე, ჩემი ყრუ ძახილი:
დამტოვე, არსად მოვდივარ.

მელაპარაკე

მელაპარაკე...

გადამითარგმნე შენი ღუმილი,

მელაპარაკე...

თორემ ჩამეძინება

და გაჩერდება დედამიწა...

მელაპარაკე,

მელაპარაკე,

მელაპარაკე...

არადა, მაშინ გ ა მ ა ჩ უ მ ე . . .

ხომ დამისახლდი კალმის წვერზე –

მორჩი ჩემს შექმნას და

დამასრულე.

სხვაგან ნუ მეძებ...

შენი გული ჩემი სამარხია...
დამმარხე...
დამფალი...
გადამმალე...
ისე, რომ ვერავინ მომაგნოს,
ვინც გკითხავს, საით წავედი,
არ მიასწავლო...
შენი დუმილით დამაბალზამე,
გადამაფარე შენი სიტყვები,
მომაკურე შენი ჟანგბადიანი სისხლი.
მშვიდად იყავი...
არ შეიმჩნიო...
მე შენით არა...
მე შენში ვცხოვრობ,
სხვაგან ნუ მეძებ...
მე შენი ხმა ვარ...
და ველარსად დაგეკარგები...
შენი სახე კი ნილაბია
ჩემი სულისთვის...
შენი გული – ჩემი სამარხი,
შენ – მესაფლავე... თეთრი ვარდებით...
ჰოდა, დამმარხე
უწარწეროდ და უსახელოდ...

და მე ამაღამ
შენთან ერთად დავიბადები...

ჰიპერბოლა

ჩამოვისვენებ სტრიქონებზე,
რადგანაც მხოლოდ
აქ შემიძლია მოგიხელთო,
სულით შეგეხო...
მე ვგრძნობ შენი სუნთქვის არითმიას,
რომელიც ჩემს ლექსს
რითმას დააკარგვინებს,
გაათავისუფლებს არტახებისგან
და ეტყვის:
წადი, საითაც გინდა...

შენი ტექსტიდან ჩემს ტექსტებში
კარი გაიჭრა,
სად წამსვლელი ვარ?
მოდით, ეს სივრცე ერთად მოვაწყოთ:
ჩამოვარიგოთ მეტაფორები
სარკმელებივით...
შენა ხარ ჩემი ჰიპერბოლა –
მე შეგნებულად გაგაზვიადე,
რომ გამიჭირდეს მოსვლა შენამდე.

წონასწორობა

მოდი, ეს ქალაქი
ჩვენი სიმეტრიის ღერძი იყოს...
რამდენ ნაბიჯსაც შენ გადადგამ,
მეც იმდენი ნაბიჯით
დაგშორდები...
მოხვალ და მოვალ...
წახვალ და წავალ...
გავიმეორებთ ჩვენ ერთმანეთს
იქით და აქეთ...

ღერძის გარშემო
ჩავჭიდოთ ხელი და
ვიტრიალოთ, ვიტრიალოთ, ვიტრიალოთ...
ვიდრე დავიღლებით,
ვიდრე დავიცლებით,
ვიდრე დავეცემით
თავბრუნდახვეულები –
ცა და მიწა ერთმანეთს
ადგილებს გაუცვლიან,
ვარსკვლავები ფეხქვეშ დაგვეგებიან...

წაიქცევი და წავიქცევი...
აღვები და ავღვები...
გავიმეორებ,
თითქოს სარკეში იყურები
და შენს თავს ხედავ –
გამიღიმებ და გაგიღიმებ...
წარბს შეკრავ და წარბს შევკრავ...

მოდი, ახლა,
ხელი ჩამჭიდე
და ვიტრიალოთ...
ვიტრიალოთ...
ვიტრიალოთ...

ჰორიზონტი

მე ზღვა დავტოვე...
ჰორიზონტი, თვალებში ჩახატული,
თან წამოვიღე –
ჩემი სულის და სხეულის საზღვრად...
შენ გადარებდი...
რა იცოდი?

ასე შორეულს
მხოლოდ მზერა თუ მოგიხელთებდა,
ჰორიზონტივით...
შენ ადექი და შენი თავი,
ჩემი თვალებით დანახული,
ჩარჩოში ჩასვი
და კედელზე ჩამომიკიდე...

ჰორიზონტი ხარ...
მე ამ საზღვარს ვერ გადავცდები
და გიმზერ ასე –
ყველას თვალით, თანაც – ფარულად,
ჰორიზონტი ხარ...
ხან მუქდები, ხანაც – ბაცდები...
ჩემს სულში მხოლოდ
უჩარჩოდ გადამალულხარ...

ტექს-ესენციები

ტექსები _ დუმილის ა(მ)ბები

ჩემთვის – ღუმილის ამბები,

შენთვის – ღუმილის აბები.

* * *

ერთხელაც ალბათ

თავბრუდამხვევ

წვიმად ვიქცევი,

მოვალ შენთან და

შენს სარკმელთან

ჩამოვიქცევი.

* * *

როგორც მზის სხივებს

ვერ დამალავს ღამე წვალეებით...

ასე სიყვარულს–ჩემი თვალები.

* * *

აჰა, შენ ჩემი ბიოგრაფია –
დაბადების წელი, ადგილი,
მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო
ყველა თარიღი...
ერთი ღიმილი
განა უფრო მეტს არ გეტყოდა?!

* * *

ვერ აგარიდებ მზერას,
როგორც
მზის სხივი ვერ აერიდება
ღილის ცვარ-ნამს,
მინდორზე ჩაშლილს.

* * *

ცრემლი, რომელიც
გულში დაგროვდა,
სულ სტრიქონ-სტრიქონ
გამოვაპარე
ლექსში,
რომელშიც
შენ მელოდები.

* * *

ნუ აფრინდები,
გულო ჩემო,
დამფრთხალ ჩიტვიტო,
ნუ აფრინდები,
მე არ მინდა, მარტო დარჩენა.
ის კი დასაფრენ ადგილს ეძებს
და ემზადება...
შენ დანახვაზე
რა ქნას გულმა,
ფრთხილს ნაჩვევმა.

* * *

დღესაც დაგეძებ,
ცარიელი შენი ადგილი
ისე მიყურებს,
როგორც ღამე-უმთვარეო
და ღლე-უმზეო,
და ისე ვუმზერ
სიცარიელეს,
როგორც ჩამტვრეულ
სარკმელს ზამთარში.

* * *

ლექსს კი არა ვწერ,
ეს—დრო გამყავს
მზის ამოსვლამდე,
მზის ამოსვლამდე
და შენ მოსვლამდე.

* * *

სად დაბეკარგე,
ფოთოლცვენის სეზონი დადგა,
ჩემს ტკივილებთან
ფოთლის დარდი რა სათქმელია,
წვიმს...
ცრემლით სავსე დედამიწა
გულზე ფეხს მადგამს,
დეკემბრის სევდა
ასე უღვთოდ გადამდებია.

* * *

შენ ვერ გაიგებ
ჩემს მეტაფორებს,
არც არვინ არის
ამის ამხსნელი,
ვზივარ, სიყვარულს
ლექსით ვაგროვებ,
მაინც არა აქვს
ამ სულის საშველი.

* * *

ნის ტოტებში
გაბლანდულო ქარიშხალო,
შენ კი დაიხსნი
თავს ტყვეობიდან...
თუ არ დავნებდნენ,
იმ ტოტებსაც
მიამტვრ-მოამტვრევ,
შენ ის მითხარი,
ადამიანს რა ეშველება,
სიყვარულის ქსელებში
გაბმულს...
რა ეშველებათ —
ქარიშხლებს დაბმულს?

* * *

შენ რომ არ იყო,
დაიღვრებოდა ალბათ ზეცა
თოვლის ფერებად...
მაგრამ ჩემს კალამს
ვერასოდეს აამღერებდა.

* * *

ეს მზე, ქუჩა,
ეს ფიფქები...
არეული ქარში გზნებით,
ყველაფერი მიყვარს,
რამაც
გამიკვალა შენკენ გზები.

* * *

დღეს აპირებს გათოვებას...
თოვლი მოვა,
გავბრუვდებით...
ცოტაც... ცოტაც... მადროვე და
მეც ფიფქივით დავბრუნდები.

* * *

დიდთოვლობაა...
მეზავრობა გადაიღო,
ცხოვრებაც გადაიღო
შენთან
შეხვედრამდე.

* * *

მინდა მოგწერო,
რა დამაძინებს...
თოვს...
შენს სარკმელსაც
ფიფქი აცვივა,
შენი თვალებიც
აცილებს ფანტელს
და სულზე თეთრი
ფიფქი გაცვია...
სიკვდილ-სიცოცხლის
სუსტ მხრებზე დამტევს
ფიფქო, ჩემს ხელში
რა შეგაციებს?

* * *

ჩემი გულიდან
შენს გულამდე –
სტრიქონთა ხიდზე,
ვიცი, სიყვარულს
ფეხი არასდროს არ დაუცდება.

* * *

ვერასდროს გითხარი –
ლექსშიც რომ მაწვალე,
რომ შენს მოლოდინში
დამდება ყველა დღე,
შენგან მაქვს, ძვირფასო,
ფერადი სათვალე,
მოვდივარ შენკენ და
ვერასდროს შენამდე.

* * *

ეს დღეც ჩასახლდა
ამ სტრიქონებში
და ფოთოლცვენის
კვალი დატოვა.

* * *

თუ მდინარე ხარ,
ისე მაინც უნდა ადიდდე,
რომ ნაპირი არ მიატოვო.

* * *

ლექსები ჩემი –
საცეცებია,
შენს გულთან მოვლენ,
არ შეცდებიან.

* * *

როცა დიდხანს დავეძებდი
მაგ ღიმილს და მაგ თვალებს...
სიზმრად გნახე და სიზმრიდან
ცხადში გამოგაპარე.

* * *

შევეკელე ამ სამყაროს,
ეს სამყაროც შევიკელე,
ხან–სარკმელი გამოვხსენი,
ხანაც–ძვლებში შევიკეტე.

* * *

როსტომ ჩხეიძეს

მე სათაური ვერ მოვუძებნე
ვერც საკუთარ ლექსს
და ვერც – ცხოვრებას...
მადლობელი ვარ,
რომ შემახსენე:
სამ წერტილში რომ
ეს სამყარო
ვერ ჩაეტევა.

* * *

ისევ გაწვიმდა,
ესლა აკლდა ამ ზღვას,
შფოთიანს,
გარეთ წვიმს...
შინ კი–ვიღაც უკრავს
წყნარად სულიკოს...
ზღვა აბარბაცდა,
თითქოს ეს ზღვა
მართლა ლოთია,
წვიმა აკლდა რომ
ნაპირიდან
გადმოსულიყო.

* * *

გალიაში რომ გამომწყვდეულხარ,
მე კი გიყურებ...
არ ვარ უგულო...
ოლონდ მანიშნე
და გალიის კარს
მე გამოგიხსნი, ჩემო ბუღბუღო!
რა ვიცი,
იქნებ თავისუფლება
არც მოისურვო, თუკი ვარდი გაქვს,
მაგრამ... ვაითუ, შენი ყვავილი
ვერ იბოვნე და...
მაგის დარდი მაქვს.

* * *

ნუ მებუტები,
ხმასაც არ ვიღებ...
ჩანს, უთქმელობით
მაინც გაწყინე...
ერთადერთი ხარ,
რა ვქნა, მთვარეო,
მზესთან ვერაფრით
ვერ დაგაწყვილე.

* * *

წაუკითხავად დაჭკნენ ლექსები,
როგორც გაზაფხულზე
ყინვამისწრებული კვირტები...
ვერ იყვავილეს...
რა უდროოდ მოვიდა ყინვა...
მაგრამ წელს ვნახე,
მარტის თვეში,
ფიფქების ქვეშ მოყვავილე
ატმის ხეები.

* * *

შენა ხარ ჩემი
კუდიანი, თეთრი კარსკვლავი,
ცას ავყურებ და
არც კი ვიცი,
როდის იელვებ...

* * *

მე ცოცხალი ვარ,
შენზე ფიქრი როცა მაწვალებს
და მონატრების შავი მელნით
სტრიქონს რომ ვაბამ.

* * *

მარცხენა მკლავებზე
დამალული შენზე სიზმრები
გაცოცხლებიან,
ცრემლის ბურთი რომ დაეცემათ.

* * *

მე დამეკარგა ყველა ბილიკი,
რაც ეკალმა და ბარდმა დამალა...
და დავრჩი მარტო... დონ-კიხოტივით,
მხოლოდლა სანჩო-პანსას ამარა.

* * *

გადაიფიქრა თოვლმა მოსვლა...
მე კი მაშინ მეწერებოდა,
თეთრი ფიფქები
შენს ღიმილს რომ იმეორებდნენ...
გადაიფიქრა თოვლმა მოსვლა,
მე კი ვზივარ ფიფქდაკარგული,
ფიქრდაკარგული ზეცას ავყურებ...

* * *

ვერ დაგამშვიდებ
გაცვეთილი, უნდო სიტყვებით,
ნუ დაიჯერებ,
რომ ცრემლები შენი ხვედრია,
გახედე თბილისს,
ამ სარკმლიდან ეს დედამიწა,
თითქოს დაწვევებზე დადენილი
ერთი ცრემლია.

* * *

შენს გულში ჩემი
მყუდრო ბუდეა –
უხილავი და მშვიდი...
როცა მშორდები,
მე ვარ ბუდიდან
გადმოვარდნილი ჩიტბი.

* * *

მიხოს

ვერ გაჩერდები,
სულ მიდიხარ,
უნდა იწვოდე!
შენც კარგად იცი,
რომ მწერალი დიდი ბავშვია...
და ამიტომაც, მეგობარო,
მე შენ გიწოდე –
კაცი, რომელიც სულ მიდის და
ისევ გზაშია.

განთიადი

მზე ამოვიდა
და ღრუბლების
კალეიდოსკოპს
სხივი აბრუნებს,
საითაც უნდა.

* * *

საით მიდის ეს მდინარე,
სულ მიდის და არ იღლება...
ერთხელაც რომ მოიწყინოს,
რომ გაჩერდეს,
რა იქნება?

* * *

ეს სიყვარული
ამ ფურცელზე
ვერ დავატიე...
გთხოვ, მაპატიო,
რომ ვერაფერს
ვერ გაპატიებ...

* * *

წამოედება ხის კენწეროს
თეთრი ვარსკვლავი
და დაბნეული
შენს თვალებში
მოადენს ზღართანს.

* * *

ჩემი ეზოს ვარსკვლავები
თავის დროზე ამოდიან...
თუ ეზოში ვერ მიპოვნეს,
სადაცა ვარ,
გამორბიან...

* * *

გაიწელა ღლეები,
ვით საღეჭი რეზინა...
იმ გაწელილ რეზინზე
მგონია, რომ
მე ვზივარ...
მოიწყინეს ღლეებმა
ერთმანეთის მსგავსებით,
ჩქარა, შემომეშველე,
სადაცაა გავეწყდები.

* * *

უკვე რამდენი დღეა,
გადაუღებლად წვიმს...
არც ცა იღლება, მიწაც
იბანს და იბანს პირს...
მესმის ამ ცის და მიწის,
მეც წვიმებივით მჭირს...
გადაუღებლად მიყვარს...
მზერა მრისხანე ზღვის...

ჩამქრალი ასანთის ტერის აღსარება

სულ ერთი ცეცხლის წაკიდებად
ღირდა სიცოცხლე.

* * *

სიყვარული –
მაშველი რგოლი...
ხელი ჩასჭიდე,
ყოფაში ჩაძირულო ადამიანო,
იქნებ როგორმე ამოგიყვანოს ყოფნაში.

* * *

აზრმა,
რომელმაც
სიტყვა უარყო...
დარჩა უაფროდ...

* * *

აიძღვრა დილა
და მზის სხივები
ნისლს შეერია...
ახლა შორსა ხარ...
თვალით ვერ გხედავ,
მაგრამ გულიდან,
როგორც სარკმლიდან,
ისე მოჩანხარ...

* * *

თქვენ ვერ გაიგეთ
სიყვარულის ურჩი ბუნება,
ვერც მე გავიგე –
ჩაქრება და უცებ ნათდება...
როცა მგონია მიმატოვა,
მაშინ ბრუნდება,
მე გამაგდებს და
თავად ჩემში
მოკალათდება.

* * *

ვერ წამოვკრიფე
თეთრი თოვლიდან
ბელურების
ნაფეხურები...
შენი მზერა
ამ გულიდან
ვერ ამოვშალე...

* * *

არ ვიცი, საით გავიქცე,
სიყვარულს როგორ ვუშველო...
თუ წვიმებს მივცე ქალაქი –
უფერული და უშენო...

* * *

თვალს როცა ახელ,
თეთრო ენძელავ,
ნეტავ პირველად
რას ხედავ ხოლმე:
მიწას თუ ზეცას?!

* * *

მიყვარხარ,
ვიდრე შენს ანარეკლს
მზერით ვატარებ...

* * *

მინაზე წვეთმა
გზა რომ გაიკვალა –
გულმა გაიხარა...

* * *

მიდის ღრუბელი
და მიდის წვიმაც...
მიდის ზამთარი —
ფიფქიც მიქრება...
ჰო, ასე იყო
ასი წლის წინაც,
ასი წლის პერეც
ასე იქნება!

* * *

მიდიხარ,
ვითომ გზები გაკვალე,
ნარ—ეკალი კი
მაინც გამოგრჩა,
ცხოვრება არ ჰგავს
ჩითის საკაბეს,
მოიზომო და
თარგზე გამოჭრა.

* * *

შენთან დავრჩები,
სანამ მთვარე
მზეს შეხვდებაოდეს.

* * *

მომეცით ხელი, ენძელებო,
მიწიდან ამოსვლაში
დაგეხმაროთ.

* * *

ემინიათ ვარსკვლავებს
ღამე თვალის გახელა...
მართლა ასე ძნელია,
სიყვარულის გამხელა?

დიალოგი წვიმაში

წვეთმა წვეთს უთხრა:
– აბა, დამიჭირე!

* * *

ნეტავ, ფეხებო,
თქვენც იქით მიდიოდეთ,
საითკენაც გული მიიწევს...

* * *

ისე უცებ მოვიდა წვიმა,
თითქოს აქვე,
ხეებს უკან იყო გადამალული.

* * *

სიტყვებო,
გაიხადეთ სამოსი –
აფრინდით ფურცლებიდან...

* * *

ცრემლდიდობისას
გამოგრიყავს
სული ნაპირზე.

* * *

ისე მშვიდია ეს დედამიწა...
წვიმა მოდის და წვიმით დათვრები...
ვზივარ კუთხეში, მინის სარკმელთან
და სივრცესა ვსვამ ყავის თანხლებით.

* * *

ხანდახან მდინარესაც უხარია,
მიატოვოს კალაპოტი
და ყვავილებს გაეთამაშოს.

* * *

წახვედი, მაგრამ ჩემს სათქმელს
მთვარე გაიმბობს... გაბედავს...
თუ გაიხსენებ ვარსკვლავებს,
თუ ცაზე მთვარეს ახედავ.

* * *

ვიხუჭები...
– დამეძაღე!
ვიხილები...
– გიპოვნე!
გულში ისე
იმალები,
ნიშანს მუდამ
მიტოვებ...
მოგაგენი,
როცა მთვარე
ვარსკვლავებს გარს
უვლიდა,
ვერ გიპოვნი,
თუკი ერთხელ
მართლა გახვალ
გ უ ლ ი დ ა ნ.

* * *

მერამდენედ დაეწყო
თეთრ ფურცელზე ანბანი,
დავიწყე და ვერაფრით
დავასრულე ამბავი
ერთი სიყვარულისა...
ერთის სიყვარულისა...

* * *

ჩემი გულის გასაღები –
სიტყვა მითხარ გასაგები –
სიყვარულში გასაგნები!

* * *

წამოკრიფე თვალებით
ეს სიტყვები–საკენკი...
მითხარ,
სული დაპურდა?

* * *

რა ვქნა, სიყვარულო,
ოთახის ყვავილივით
ვერ მოგიარე,
ველური ვარდი ხარ,
უდაბნოში ამოსული,
საკუთარ ჩრდილს შეფარებული...

* * *

შენც ისევე გრძნობ ზღვის ღუძილს,
ანდა, ტალღების შეხებას,
როგორც ეს სველი კენჭები,
ფეხისგულებს რომ ეხება?

* * *

ჩამისახლდი სულში...
ახლა
თუ გაგიშვებ,
მე დავრჩები უსულკარო.

* * *

ო, რამდენი გეძებე –
ხილულად თუ ფარულად...
თურმე აქვე იყავი –
გულში გადამალული.

* * *

ისევ შევზღუდე
ფურცლის სივრცე,
როცა კალამს
მოწყდა მელანი...
და სტრიქონებად ჩამორიგდა
ღუძილის ტევრში...

* * *

ეს სამყარო
გადაშლილი
სიყვარულის წიგნია –
უცხო ანბანი აქვს,
ყველა ვერ კითხულობს.

* * *

მზე და მთვარე
ხომ მაინც გვაქვს საზიარო...
დედამიწაც...
ჰოდა, ნუ გავაზვიადებთ
ჩვენს სიმორეს...

* * *

მზის სხივმა წვეთი
ფეხზე წამოაყენა...
წვეთი გაფრინდა...

* * *

დამეკარგა ზღვაში კენჭი–
გულში–შენ დამეკარგე.

დუმილი

ყველა სიტყვას
ტყვეობიდან
ვათავისუფლებ...

* * *

რამხელა წარმოდგენა მქონდა
ამ სამყაროზე...
მეგონა, მილიონობით
ტომი ვერ დაიტევდა...
მილიარდობით კადრში
ვერ მოთავსდებოდა...
ის კი მხოლოდ
შენს მზერაში ჩაეჭია...

* * *

ისეთი დღეა,
ფიფქი დამათოვს...
მინდოდა, თოვა
ერთად გვენახა...
ვარ სამყაროში
უმისამართო...
და ყველგანა ვარ,
სადაც შენა ხარ.

* * *

ვერ შევეჩვევი ამ სამყაროს...
ისევ ხელახლა
დავშლი, ავაწყობ...
ხელს არ ვახლებ ზეცის სიღურჯეს...
გადავანაცვლებ დედამიწას
სადაც შენა ხარ...
და მზეს და მთვარეს
შენ გარშემო
ადგილს მიუჭინ...

* * *

მე გზა ვარ,
ჩემი მგზავრი ხარ,
მარტო არასდროს დარჩები,
საითაც გინდა, წაგიყვან,
ნატერფალებში დარჩენილ
წვიმის წვეთებში დაგტოვებ...
და შენ თუ არა,
წვეთებს ხომ
უთუოდ დავიმართოვებ...

* * *

გაგებუტები...
თოვლის ფიფქი როცა დამათოვს...
რაც უნდა მეთქვა,
დაე, ისევ დარჩეს უთქმელი...
აღარ მაქვს ძალა,
აღარც შენთან აღარ ვკამათობ...
შენ და სიცოცხლეს
ერთდროულად გაგებუტებით.

* * *

დილით სხივებზე გავაშრობ,
ცრემლით დაბანილ იარებს,
გულზე დამადგა სიცოცხლე...
ხელი მკარ... გადამიაროს!

* * *

მე ვეძებ ენას,
რომლითაც მიყვარს,
აზრისკენ გზას რომ
უცებ გაიგნებს.
მე შენ ვეძებდი...
ახლა კი—სიტყვას,
რომელსაც გეტყვი
და შენ გაიგებ.

* * *

შენამდე მანძილს
ვზომავე ადლებით...
სიზმრიდან ცხადში
შენთან გავჩნდები,
შენ წინ ფიფქივით
შემომადნება
სიტყვა ხელში და...
მარტო დავრჩებით.

სარკეში

ნუ მიყურებ ასეთი თვალებით...
სულ მგონია, რომ კანონს ვარღვევ —
როცა ვწერ ლექსებს,
რომლებიც არავისთან შემითანხმებია...

* * *

შენ ოკეანე ხარ,
მე — განძის მადიებელი...
ყოველდღე ჩავდივარ შენს ფსკერზე,
განძი ამომაქვს,
სტრიქონებად ვთარგმნი და
შენ გიბრუნებ...
შენ ოკეანე ხარ,
მაგრამ არ იცი,
შენი ფსკერი რა განძს ინახავს...

სარჩევი

წერილები	
წერილი შენტვის	3
ბალიშის ქვეშ დატოვებული წერილი	5
სახალწლო ღია ბარათი	7
ფრაგმენტი წერილიდან	8
ათასმეერთე წერილი	9
ჟარის ღრიჭოში დასატოვებული წერილი	10
წერილი ზღაპრიდან	11
დაქარგულის წერილი	13
წერილი ზღვიდან	14
ქვის ქვეშ დატოვებული წერილი	15
წერილი არაფერზე	17
წერილი შენი ოთახიდან	19
ჰერბარიუმი	20
საშიში თამაში	21
თავხედის წერილი	23
უსისხლო წერილი	24
გაბრაზებული წერილი	26
ბოლო წერილი	27
გ ა მ ო (მ) ი ც ა ნ ი	
გამო(მ)იცანი	28
გუშინ	29
ნიყარა	31
*** ზურგშექცეული იდექი ჩემგან... ..	32
*** როცა სულში სიყვარული აყვირდება... ..	33
*** სიტყვები გამეცნენ წიგნის ფურცლებიდან... ..	33
*** ეს სული ისევ ფერფლიდან აღდგა... ..	34
*** რას მეტყვის ღამის ნიავი... ..	34
*** არც მე... აღარც შენ... ..	35
გალექსილი დიალოგი ტარიელ ჭანტურიასთან	36
*** გაიარეთ, თქვენ-თქვენი გზით წადით... ..	36
*** აჰა, დაღამდა... ..	37
*** როცა მივდივართ... ..	38

*** ვერ დაგადევნე სიტყვა ვერცერთი... ..	38
*** ღმერთო, ყველაფერი უხმოდ როგორ ხდება... ..	39
*** შენ მეკითხები, მე როგორ ვარ... ..	40
*** ისე მოგენდე... ..	41
*** არ შემარჩინე ცრემლების ფეთქვა... ..	42
*** ვიცი, არაფერი არ შეიცვლება... ..	43
ტექსტში დარჩენილებს	45
*** ჰო, სულერთია... ..	46
შენ მაგიერ	47
*** რამდენი რამე უნდა ვიპოვნოთ... ..	47
*** ვცხოვრობთ სიტყვებში... ..	48
საშემოდგომო განწყობილება	49
*** წვიმა მოვა... ..	50
*** შენამდე მართლა არ ვიცოდი... ..	51
*** ალბათ ტკივილებს... ..	52
*** მოდის და მიდის გაზაფხული... ..	53
*** ნადი, გაფრინდი, თეთრო ჩიტო... ..	54
მერე რა... ..	55
*** ჩემი გზა ხარ... ..	56
*** გთხოვ, გამაცოცხლო, სიყვარულო... ..	57
*** ჩემი განუკუთლილი სიყვარული... ..	58
შენთვის	59
*** მიწაზე ვარ... ..	60
*** შენ ეძებ... ..	61
გამომატვიცნე	62
*** მე დაგინახე... ..	63
ხედავ, რამხელა ამბავს გაამბობ... ..	63
*** ჩაისუნთქე დედამინა... ..	64
მელაპარაკე	65
სხვაგან ნუ მეძებ... ..	66
ჰიპერბოლა	67
წონასწორობა	68
ჰორიზონტი	69
ლ ე ქ ს - ე ს ე ნ ც ი ე ბ ი	70

გარეკანის დიზაინი გიორგი ხარებავა
დაკაბადონება თინათინ ბერბერაშვილი



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge